ხელშეკრულება N-62

საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ნინოწმინდა

25.დეკემბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (შემდეგში - მიმწოდებელი) მდებარე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N1, წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - ნინოწმინდის ადგილობრივი წარმომადგენლის, **გილვარდ დარბინიანის** სახით და მეორე მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია (შემდეგში - შემსყიდველი) მდებარე:ქ.ნინოწმინდა პუშკინის ქ.N-43,მისი წარმოდგენილი მერის,ანივარდ მოსოიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საარქივო მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი - 79995100) - ეროვნული არქივის მიერ **ნინოწმინდის** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **1943-2006** წლების ხანგრძლივად შესანახ საქმეთა შენახვა ერთი წლის განმავლობაში, 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სულ: **2872** (ორი ათას რვაას სამოცდათორმეტი) შესანახი ერთეული (საქმე).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება **5744** (ხუთი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილების 1 ნაწილის მე-12 პუნქტი.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტში აღნიშნული დადგენილებით, საქმეთა შენახვის ღირებულება დადგენილია საფასურის განაკვეთის მიხედვით, ერთ შესანახ ერთეულზე (საქმეზე) ერთი წლით – 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2.4 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ღირებულების ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველთვიურად, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.2 უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ეროვნულ ვალუტაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს საარქივო მომსახურება შემსყიდველს სათანადო ხარისხითა და შესაბამისი ნორმების დაცვით;

ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტები დაზიანებისა და შინაარსის გაყალბებისაგან.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზ(ებ)ის გამოსწორება.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოთხოვოს შემსყიდველს აანაზღაუროს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილებისა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებით დათქმული პირობების დაცვით.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დათქმულ მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) განიხილოს მიმწოდებლის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზ(ებ)ის გამოსწორება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს გააკონტროლოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება და ხარისხი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარის (მხარეთა) მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

5.2 ფორს-მაჟორული გარემოება წარმოადგენს მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არის გამოწვეული მხარეთა არასწორი ქმედებების შედეგად), რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, კერძოდ: ომი, ეპიდემია, კარანტინი და სხვა.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, წერილობითი ფორმით.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

6.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით.

6.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც ფერხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ შეფერხების მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 სამუშაო დღით ადრე;

დ) ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ე) ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ინსპექტირება

9.1 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველი ყოველი დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს უხდის პირგასამტეხლოს გადაცდენილი დღის/დღეების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის შემსყიდველს პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ან/და არაჯეროვანი შესრულების ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე/ანგარიშზე.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება ხორციელდება მხარეთა შეთანხმების გზით, რომელიც ფორმდება წერილობითი შეთანხმების სახით.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს მიმწოდებლის მხრიდან განახორციელებს - ნინოწმინდის ადგილობრივი წარმომადგენელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

10. დავის გადაწყვეტა

10.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ორი კი მიმწოდებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი	შემსყიდველი
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 211358957	ბანკის კოდი LBRTGE22
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ა/ნGE51LB0120146252122000
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს/კოდი 236689669
ბანკის კოდი: TRESGE22	მის:ნინოწმინდა,პუშკინის ქ.N43
ანგარიშის ნომერი: 707447080	

ნინოწმინდის ადგილობრივი წარმომადგენელი:

გილვარდ დარბინიანი

ანიკვარდ მოსოიან